

## შარბი პაკეტების გადაცემების ეფექტური მართვა კომპიუტერულ ქსელები

ოთარ ნატროშვილი, მარინა ქურდაძე, ლევან ინჯია,  
ბექა გაბეხაძე, ნინო ნატროშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განხილულია კომპიუტერულ ქსელებში ჭარბი პაკეტების ეფექტური გადაცემის მეთოდები. შემოთავაზებულია ახალი ალგორითმი, რომელიც ითვალისწინებს პიკის საათებში ქსელის მუშაობის დროს ჭარბი პაკეტების პრიორიტეტულ გადაცემებს მათი უმცირესი დროითი ხანგრძლივობების მიხედვით. ამ ალგორითმის სარეალიზაციოდ შეტემავებულია დროითი ხანგრძლივობების გაზომვისა და შედარების მეთოდები, შესაბამისი მოწყობილობები თანამოღებრონული გამომთვლელი მოდულების გამოყენებით, რომლებიც წარმატებით წყვეტენ ჭარბი პაკეტების გადაცემების ეფექტური მართვის პრობლემებს კომპიუტერული ქსელის პიკური დატვირთვების დროს.

**საკანონი სიტყვები:** კომპიუტერული ქსელი, პაკეტების ეფექტური გადაცემები, პაკეტების დროითი ხანგრძლივობების შედარება.

### 1. შესავალი

კომპიუტერულ ქსელებში მონაცემთა გადაცემის ეფექტური მეთოდების შემუშავებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქსელის წარმადობის საჭირო დონის უზრუნველსაყოფად. კორპორაციული ქსელების პიკური დატვირთვის რეჟიმებში მუშაობის დროს ხშირად წარმოიქმნება ქსელის ჰოსტების შორის გადასაცემი პაკეტების სიჭარბე, იგი იწვევს საკომუტაციო კვანძებში მათ დაგროვებას, რომელსაც თან სდევს ქსელის სწრაფქმედების შენელება, ხშირად კი მისი წარმადობის მკეთრი დაცემა. აქედან გამომდინარე ჭარბი პაკეტების გადაცემების ეფექტური მართვის მეთოდების შემუშავებას კომპიუტერული ქსელების გადატვირთულ რეჟიმებში მუშაობის დროს ძალზე ატუალურ პრობლემას წარმოადგენს. ამგარ რეჟიმებში პაკეტების ეფექტური გადაცემების მიზნით საჭიროა შემუშავდეს მეთოდი და შესაბამისად მისი სარეალიზაციო ალგორითმი, რომლებიც სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც გადაწყვეტენ ამ პრობლემებს ქსელის მუშაობის პიკის სათვალში.

### 2. ძირითადი ნაწილი

წარმოდგენილი ნაშრომის შესავალ ნაწილში ფორმულირებული პრობლემის გადასაწყვეტად, ჭარბი პაკეტების გადაცემებისათვის ძალზე ეფექტურია შესაბამისი მეთოდებისა და სარეალიზაციო ალგორითმების შემუშავება. მათი გამოყენების არსი მდგომარეობს შემდეგში. კომპიუტერული ქსელის საკომუტაციო კვანძებში თუ კი ადგილი აქვს ჭარბი პაკეტების დაგროვებას, გადასაცემი დროის ეკონომისის მიზნით გამოყენებული იქნეს პაკეტების გადაცემების არა ე.წ. FIFO – ს რეჟიმი (პირველი შევიდა პირველი გავიდა, ე.ი. მომსახურდა საკომუტაციო კვანძის გამოსასვლელ პორტებზე პაკეტების განაწილების თვალსაზრისით), არამედ ჭარბი პაკეტები გადაიცეს მათი პრიორიტეტული ნიშნების მიხედვით. ამ შემთხვევაში ეს პრიორიტეტული ნიშნებია პირველ რიგში იმ პაკეტების გადაცემა, რომელსაც გააჩნიათ დროითი ხანგრძლივობების ყველაზე მცირე მნიშვნელობები. ასეთი გზით პაკეტების გადაცემები ქსელის ჭარბი დატვირთვების დროს მნიშვნელოვნად შეამცირებს დაგროვილი პაკეტების რაოდენობას და გარკვეულ წილად განმუხტავს შექმნილ არასასურველ სიტუაციებს ჭარბი პაკეტების გადაცემებში.

ჭარბი კლიენტ-სერვერული პაკეტების კოტროლისა და მათი გადაცემა-მიღების პროცედურების რეგულირების მეთოდების სარეალიზაციოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპიუტერული ქსელის საკომუტაციო კვანძების შესასვლელ ინტერფეისზე მათი დაყოვნების ჯამური დროითი ხანგრძლივობების განსაზღვრას, ამიტომ წარმოდგენილ ნაშრომში ანალიზატორს უნდა გააჩნიდეს რაღაც მქანიზმი, რომელიც ოპერატორულად გაზომავს თითოეული დაგროვილი ჭარბი პაკეტის ზომას (პაკეტის სიგრძეს), ანუ მის დროით ხანგძლიობას რათა ჭარბი პაკეტების სიმრავლიდნ გამოიყოს პაკეტი (პაკეტი), რომელსაც აქვს ამ პარამეტრის ყველაზე უმცირესი მნიშვნელობა. შემდგომ ეს მნიშვნელობა ანალიზატორში ოპერატორულად გამრავლდეს დაგროვილ სიმრავლეში შემავალი ჭარბი პაკეტების საერთო რაოდენობაზე და ნამრავლი შეიკრიბოს მის (ანალიზატორის) დამგროვებელ ამჯამავში კონტროლის სხვა წინა ციკლებში ანალოგიურად მიღებულ მნიშვნელობებთან. ეს საჭიროა ჭარბი პაკეტების ჯამური დროის ხანგრძლივობების განსაზღვრისათვის, რათა გამოითვალის კომუტატორის შიგა ბუფერულ იპერატორულ მექსიერებაში საჭირო მოცულობები, ამასთან გამოითვალის რამდენი წნით უნდა იყვნენ დროებით შენახული სანამ არ გაივლის განხილული ჭარბი დატვირთვის პიკური მომენტები.

ყოველივე ზემოთქმებული იპერაციების სარეალიზაციოდ ამ ანალიზატორში საჭიროა მოწყობილობა (ჩვენს შემთხვევაში ოპტოელექტრონული მოწყობილობა) ჭარბი პაკეტების დროითი ხანგრძლივობების ერთმანეთთან შესაძირებლად. ამ პროცედურის (შედარების პროცედურის) შესრულების მიზნით

შემუშავებულია ის მეთოდები და მათი რეალიზაციის საშუალებები, რომელიც ოპერატორულად შეასრულებენ სიღიდეების შედარების თპრაციას.

ანალიზატორში საჭიროა გვენდეს მოწყობილობა, რომელიც შეადარებს მის შესასვლელზე მიწოდებულ და შემადარებული მოწყობილობის რეგისტრებში (ოპტოელექტრონული ტიპის რეგისტრებში) შეტანილ დროით ხანგძლიობის ორ მნიშვნელობას (სიღიდეს). მას (შემადარებულ მოწყობილობას) უნდა შეეძლოს ამ სიღიდეების შედარების შემდეგი 4 ვარიანტის რეალიზაცია:

- 1) როცა ორივე სიღიდე წინასწარ მოცემულია;
- 2) როცა პირველი სიღიდე გამოითვლება, ხოლო მეორე – მოცემულია წინასწარ;
- 3) როცა პირველი სიღიდე მოცემულია წინასწარ და მეორე – გამოითვლება;
- 4) როცა ორივე შესასაბამის სიღიდეები გამოითვლება.

ზემოთჩმოთვლით ნებისმიერ 1-4 შემთხვევაში შედარების ოპერაციის პრაქტიკული რეალიზაციის დროს შედარების მოწყობილობის შესასვლელზე მიეწოდება ორი სიღიდე (უფრო ზუსტად სიგნალების არსებობის დროის ორი ხანგძლიობა) და შედარების შემდეგ მოწყობილობის გამოსასვლელზე გაიცემა სიგნალი, რომელიც მოუთითებს პაკეტების დროით ხანგძლიობები ტოლობას ან რომელიმე მათგანის მეტ-ნაკლებობას.

ამგვარად, შედარებისას ზოგად შემთხვევაში შესაძლებელია ორი სიტუაცია:

1) გამოსასვლელი სიგნალი გამომუშავდება ნებისმიერ შემთხვევაში იმის მოუხდავად, ეს სიღიდეები ტოლი არიან თუ არა და, თანაც ამ დროს არ გაითვალისწინება ამ შესასაბამის (სიღიდეებს) შორის სხვაობა და 2) გამოსასვლელი სიგნალი გამომუშავდება შესასვლელი სიგნალების (სიღიდეების) ერთმანეთთან განსხვავების შემთხვევაში და მისი სიღიდე პროპორციულია სხვაობის ამსახველი მნიშვნელობის. ამ ორი სიტუაციიდან განსაკუთრებულ ინტერვალს წარმოადგინს, რა თქმა უნდა, შედარების მეორე შემთხვევა, რომელიც გვიჩვენებს არა მარტო ორ სიღიდეს შორის (ჩვენს შემთხვევაში პაკეტის დროით ხანგძლიობებს შორის) განსხვავების არსებობას, არამედ რა მნიშვნელობით (რა სიღიდით) განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან და რომელი მათგანია ან მეტი, ან ნაკლები.

ანალიზატორის შემუშავებისას ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენს ის, თუ მისი შედარების მოწყობილობის ასაგებად რა ელემენტურ ბაზაზე ვაკეთებთ არჩევანს, რადგანაც ამ საკითხზეა დიდად დამოიყიდებული სიგნალების რა ფორმას ავირჩევთ შესასაბამის სიღიდეების (ჩვენს შემთხვევაში დროით ხანგძლიობების) წარმოდგენისათვის. თუ ჩვენ ანალიზატორისათვის შემადარებელი მოწყობილობის სარეალიზაციო ვირჩევით ოპტოელექტრონულ ელემენტურ ბაზას, მაშინ შესასაბამის სიღიდეებიც წარმოდგენილი უნდა იქნეს ოპტიკური სახით, ვინაიდან საშუალება გვეძლევა ამ პროცედურის (ოპტიკურ-ბოჭკოვან ხაზებში გამავალი პაკეტების, ან საკომუტაციო კვანძის შესასვლელ ინტერფეისებზე დაგროვილი დროით ხანგრძლივობების შესასაბამის შესასაბამის გამოვიყენოთ მრავალფუნქციონალური ოპტოელექტრონული მოდულები [1,2,3].

ოპტრონები მოდულებში მრავალფუნქციონალურობის თვისებების მატარებელია, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ რეგენერაციულ რეემში მოწყობებულ მოდულში რეგისტრები, განლაგებული 9-9 (ცხრა – ცხრა) რაოდენობით ოპტოელექტრონულ რეგისტრებში თანრიგების (ათობითი) სახით, თითოეული მათგანი ერთდროულად ასრულებს 3 ფუნქციას: სიგნალების გარდამქმნელის, დამახსოვრების და ინდიკაციის ფუნქციებს (საჭიროების შემთხვევაში) თითოეულ ოპტრონში სხვა დამატებითი ელემენტების გამოყენების გარეშე (ამაში მდგომარეობს გარკვეულწილად მთლიანობაში ასეთი სახის ოპტოელექტრონული მოდულის მრავალფუნქციონალურობა).

მრავალფუნქციონალური ოპტოელექტრონული მოდული (მზრემ) წარმოსადგენ რიცხვებს იმახსოვრებს ათობით თვლის სისტემაში. ოპტოელექტრონულ მოდულში რეგისტრებად გაერთიანებული (განლაგებული ტრიგერების მსგავსად) ოპტორონები ასახავენ ათობით ციფრებს. მაგალითად ციფრი “6”-იანის წარმოსადგენად რეგისტრში (მზრემში) “აგზებული” იქნება 6-ივე აპტრონი (ციფრი “6” აითვლება მათი რაოდენობის მიხედვით), ხოლო დანარჩენი “3” – იქნება “არააგზნებულ” მდგომარეობაში (თუ რეგისტრებში ყველა ოპტრონი იძენება “არააგზნებულ” მდგომარეობაში, მაშინ მზრემ – ები ასახავენ “0”-ებს). ახლა უშუალოდ გადაიდეთ სიღიდეების შედარების მეთოდზე მზრემ – ის გამოყენებით. იმისათვის, რომ ანალიზატორის შედარების მოწყობილობამ განსხვაოს ერთმანეთისაგან ორი სიღიდე (ჩვენს შემთხვევაში დროის ორი ხანგძლიობა), რომლებიც ადექვატურია ორი ათობითი ციფრის (0-დან 9-მდე), საჭიროა უპირველეს ყოვლისა განისაზღვროს ზემოთ ნახსენები მზრემ – ების თავისებურებები, რომლებიც დამახსასიათებელია თითოეული სიღიდის წარმოდგენისათვის, ხოლო ამის შემდეგ შესაძლებელი განდება შემუშავებული იქნეს მათი შედარების სარეალიზაციის სქემები.

რიცხვების წარმოდგენის ეს განსაკუთრებულობა შეიძლება გამოყენებული იქნეს კომპიუტერული ქსელის საკომუტაციო კანმების შესასვლელ ინტერფეისებში დაგროვილი ჭარბი კლიენტ – სერვერული პაკეტების (ქსელის გადატვირთვის შემთხვევებში პიკის საათებში მუშაობისას) დროითი ხანგრძლივობების ამსახვი სიღიდეების (რიცხვების) შედარებისათვისაც (კერძოდ, ორი პაკეტის დროითი ხანგრძლივობების

შესადარებლად). ქსელურ ანალიზატორში დროითი ხანგრძლივობების შედარების ეს პროცედურა შეიძლება რეალიზებული იქნეს ოპტოელექტრონულ ელემენტებზე აგებული მოწყობილობების გამოყენებით, რომლის გამოსასვლელებზე სიგნალი ("1-ის" მნიშვნელობის) წარმოიქმნება ორი შესადარებელი პაკეტის დროითი ხანგრძლივობების სხვადასხვაობის დროს. ჭარბი პაკეტების დროითი ხანგრძლივობების ერთმანეთთან შემადარებელი ოპტოელექტრონული მოწყობილობა მათი სიღიდეების ტოლობაზე ან არატოლობაზე, სარეალიზაციოდ ძალზე ადვილი განსახორციელებელია. შემადარებელი მოწყობილობა შედგება ორი მცველი – ისაგან, სადაც ჩაიწერება პაკეტების ერთმანეთთან შესადარებელი დროითი ხანგრძლივობები. ანალიზატორის მცველი და მცველებული ჩაწერილ რიცხვებს შორის განსაზღვრავს რომელია მეტი ან ნაკლები და რა რაოდენობით. ანალიზატორში დროითი ხანგრძლივობების შემადარებელი მოწყობილობის ზემოთგანხილული სქემების გარდა, შესაძლებელია სქემური გადაწყვეტების სხვა ვარიანტებიც.

### 3. დასკვნა

კლიენტ-სერვერული პაკეტების დაგროვება კორპორაციული ქსელის პიკური დატვირთვებისას წარმოქმნის თანმდევ სხვა პრობლემებს, კერძოდ, ქსელის სწრაფქმედების შენელებასა და მისი წარმადობის ძალით დაცემას. აქედან გამომდინარე ეფექტური მეთოდებისა და საშუალებების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამგვარი პრობლემების განმუხტებას, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. წარმოდგენილ ნაშრომში შემუშავებული მეთოდი ითვალისწინებს ეფექტურ მიღომებს მსგავსი სიტუაციების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული მეთოდით და შესაბამისი სარეალიზაციო ალგორითმით ქსელში ჭარბი პაკეტების გადაცემების მართვა დიდად შეუწყობს ხელს პიკის საათებში მუშაობის დროს ქსელში ჭარბი პაკეტების ოპტიმალურ გადაცემებს, რომლებიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფენ ქსელის სწრაფქმედებისა და მისი წარმადობის საჭირო დონის შენარჩუნებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია კორპორაციულ ქსელებში მონაცემთა პაკეტების საიმედო გადაცემებისათვის.

#### ლიტერატურა:

1. ნატროშვილი ო. მონაცემთა მიღება – გადაცემის მართვისა და დიაგნოსტიკის ალგორითმები კომპიუტერულ ქსელებში. სტუ, თბილისი, 2009
2. " " . . , , . .
3. ქურდაძე მ., გაბეხაძე ბ. გადაწყობისა და საიმედობის კონტროლის ალგორითმის დამუშავება ოპტოელექტრონული გამომთვლელი მოდულების ფუნქციონირების რეჟიმში. უკრალი “ინტელექტი” №3 (38), 2010.

## EFFICIENT CONTROL TRANSFERS OF SUPERFLUOUS PACKAGES IN COMPUTER NETWORKS

Natroshvili , Kurdadze , Injia L, Gabehadze B., Natroshvili N.  
Georgian Technical University

### Summary

In the represented paper methods of effective transfers of superfluous packages in computer networks are considered. There is offered the new algorithm, which provides priority transfers of superfluous packages on their least values of time duration at the network operations' rush hours. Methods are developed for realization of this algorithm corresponding devices with application optoelectronic computing modules which successfully solve problems of efficient control transfers of superfluous packages during peak loading of computer network.